საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

19 სექტემბერი 2017 წ., # 2561 დადგენილებით,

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს

(სენატის) მიერ 6 ოქტომბერი 2017 წ., # 8

დადგენილებით

თბილისი

2017 წ.

თავი I

ზოგადი დებულებები

1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „სტუ") აღნიშნულ ფაკულტეტის სტრუქტურაში მყოფი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია, შექმნილი და დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის --- ---------- # --- დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2017 წლის --- ---------- # --- დადგენილების საფუძველზე.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ის წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. ინსტიტუტი ფინანსდება სახელმწიფო დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული მხარეების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს განვითარებისათვის დაკვეთილი კვლევების (ნორმატიული აქტების პროექტები, კონცეფციები, სახელმწიფო პროექტები და სხვ.) დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრებით, შემოწირულობებით, ამ მიზნისთვის და ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ფაკულტეტის მიერ გათვალისწინებული სახსრებით;

4. ამ მიზნით იგი შუამდგომლობს ფაკულტეტისა და მისი მეშვეობით უნივერსიტეტის წინაშე საკვლევი პროექტების დამტკიცების და მათ შესასრულებლად შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

5. საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუტს შეუძლია იშუამდგომლოს დადგენილი წესით უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნების სპეციალისტების და ექსპერტების დროებითი მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

6. რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) და ფაკულტეტის საბჭოს მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ინსტიტუტის ანგარიშის რიგგარეშე მოსმენა და განხილვა.

თავი II

ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამების განხორციელება და მობილობის სტიმულირება (სტაჟირება, სწავლება, გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით და სხვ.);

ბ) ორგანიზება ან/და მონაწილეობა სხვადასხვა დონის (ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში საკუთარი ან მოძიებული ფინანსური უზრუნველყოფით;

გ) საერთაშორისო და ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო ურთიერთობის კოორდინაცია;

დ) რეგიონის შიგნით და მის სამეზობლოსთან არსებული კავშირების სისტემური შესწავლა და ანალიზი;

ე) პროგნოზული ანალიზი რეგიონალური უსაფრთხოებისა და დემოკრატიული პროცესების შესახებ;

ვ) მთელი რიგი რეკომენდაციების შემუშავება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს ევროკავშირმა საკუთარი როლი რეგიონში;

ზ) ცივილიზაციათა კონფლიქტის პროგნოზი, მისი რელიგიური ასპექტების კვლევა და ანალიზი;

თ) ინტერკულტურული განათლება რეგიონში, პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები;

ი) აშშ-ს საგარეო პოლიტიკა XXI საუკუნეში - ცვლილებები და განგრძობადობა;

კ) სახალხო დიპლომატიის (მოლაპარაკების) მნიშვნელობის გაზრდა სამშვიდობო პროცესების არქიტექტურაში და შესაბამისი ტრენინგ კურსების მომზადება და ჩატარება;

ლ) რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონტურები თანამედროვე ეტაპზე;

მ) ევროპის საგარეო პოლიტიკის კონტურები თანამედროვე ეტაპზე;

ნ) ახლო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკის კონტურები თანამედროვე ეტაპზე;

ო) საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

2. დასახული ამოცანების მიზნით ინსტიტუტი:

ა) მჭიდროდ ითანამშრომლებს ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებით გათვალისწინებული პრობლემებით დაინტერესებულ სახელმწიფო დაწესებულებებთან, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამ პრობლემით დაინტერესებულ უცხოელ და ქართველ სპეციალისთებთან;

ბ) დასახული ამოცანების შესასრულებლად, შესწავლისა და ანალიზის მიზნით, მოიძიებს ქართულ და უცხოურ ლიტერატურას;

გ) ორგანიზაციას გაუკეთებს და მოაწყობს დამუშავებული პროექტების მიხედვით მოღებული კვლევის შედეგების ფართო პრეზენტაციას სახელმწიფო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

თავი III

ინსტიტუტის პერსონალის მიერ დამუშავებული პროექტების შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქცია

1. ნაშრომები, სტატიები (გამოქვეყნებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში);

2. მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები;

3. მონაცემთა ელექტრონული ბაზები მიმართულებების მიხედვით.

თავი IV

ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

1. საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულია:

ა) ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების ხელოვნების ლაბორატორია

2. ინსტიტუტის მართვას ახორციელებს დირექტორი. ინსტიტუტის დირექტორი ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობას;

3. ინსტიტუტს ჰყავს პროექტების ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს რექტორი დირექტორის წარდგინებით;

4. ინსტიტუტის სამეცნიერო-ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას (ფაკულტეტის მენეჯერთან ერთად) წარმართავს სწავლული მდივანი, რომელსაც ნიშნავს რექტორი დირექტორის წარდგინებით;

5. ლაბორატორიის ხელმძღვანელს ნიშნავს რექტორი, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით;

6. ინსტიტუტის დირექტორი შეიმუშავებს ინსტიტუტის საქმიანობის პოლიტიკას და სტრატეგიას, განსაზღვრავს სამუშაო თემატიკას, ანაწილებს დავალებებს თანამშრომელთა შორის.

7. ინსტიტუტის დირექტორი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

ბ) მოაწყოს ინსტიტუტის მიერ მომზადებული სამეცნიერო შრომების, განხორციელებული/მიმდინარე პროექტების, სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და ა.შ. პრეზენტაციების ორგანიზება;

გ) განახორციელოს ინსტიტუტის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ) მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს.

8. ინსტიტუტის დირექტორს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრაზე;

9. ინსტიტუტის დირექტორს ენიჭება პასუხისმგებლობა ინსტიტუტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე, შენახვაზე და მისი გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;

10. ინსტიტუტს ჰყავს დამხმარე პერსონალი. დამხმარე პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება პროექტების სპეციფიკის და შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით;

11. ინსტიტუტის პერსონალი ინიშნება და სამუშაოდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით;

12. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ინსტიტუტის ბიუჯეტის და მისი დებულებით განსაზღვრული სხვა შემოსავლების გათვალისწინებით;

13. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის და ფორმების შესაბამისად.

თავი V

ინსტიტუტის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

1. ინსტიტუტის მისამართია: 0175 საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77;

2. ინსტიტუტი არ არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკევებული სუბიექტი. ის წარმოადგენს უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ სუბიექტს, რომელზედაც ვრცელდება სტუ-ში ფაკულტეტებთან ფინანსური ურთიერთობების რეგულირების დადგენილი წესი;

3. გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების, ხელშეკრულებების, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების მომზადების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სტუ-ის შიდა ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, ახორციელებს სწავლული მდივანი.

თავი VI

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის მიხედვით.

თავი VII

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი.

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებისთანავე.